თბილისი და ცხინვალი, სუვერენული საქართველოს ფოლკლორული ხედვები

ავტორი: დავით ჯიშკარიანი

2019

ნაშრომი შეიქმნა პროეტის „ქართულ-ოსური კონფლიქტის დროითი წრფივი (1989-2008): დოკუმენტები წარსულის გახსენებისა და ანალიზისათვის“ ფარგლებში თავმოყრილ ასობით დოკუმენტსა და საარქივო მასალაზე დაყრდნობით.

ნაშრომში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორს. ნაშრომის შინაარსი შეიძლება ყოვლთვის არ გამოხატავდეს ნაციონალიზმისა და კონფლიქტების კვლევის ინსტიტუტის მოსაზრებებს

პრობლემის განსაზღვრა

ედუარდ შევარდნაძე[1], პრეზიდენტობის შემდგომ დაწერილ მემუარებში ბევრ ამბავს იგონებს. გორბაჩოვი, გენშერი, ელცინი, შულცი, ბეიკერი ვის არ შეხვდებით აქ. თუმცა მის მეხსიერებაში განსაკუთრებული ადგილი 1978 წელს უკავია. ამ წელს პოლიტიკური დემონსტრაციების უმთავრესი მიზანი ენობრივი პოლიტიკა და ენათა სახელმწიფოებრივი სტატუსები იყო. 14 აპრილს თბილისში მრავალათასიანი დემონსტრაციების შემდეგ საქართველოს სსრ-ში ქართულმა ენამ შეინარჩუნა სახელმწიფოებრივი სტატუსი. თუმცა პრობლემებმა იჩინა თავი აფხაზეთში, აჭარასა და სამხრეთ ოსეთში. განსაკუთრებით დაიძაბა მდგომარეობა აფხაზეთში. ედუარდ შევარდნაძე იგონებს, როდესაც „აფხაზეთში ჩავედი და იქაც დემონსტრაცია დამხვდა, რომელზეც ქართველებიც იყვნენ და აფხაზებიც, ყველა ვისაც პატრიოტული გრძნობა ჰქონდა. იძულებული გავხდი, კაპიტონოვთან[2] დამერეკა. ის კარგად იცნობდა აფხაზეთის ამბებს. საბოლოოდ სახელმწიფო სტატუსით იქ სამი ენა ჩაიწერა: ქართული, აფხაზური და რუსული.[3] შევარდნაძეს მოგონებებში დიდი ადგილი ეთმობა აფხაზეთს, აქ ჩამოსულ ტურისტებს, სახელმწიფო დაჩებზე დამსვნებელ მაღალჩინოსნებს, შემდგომში აფხაზეთში საომარ მოქმედებებს, აფხაზეთიდან დევნილეს, მძიმე პოლიტიკურ მდგომარეობას. პარადოქსია, რომ 430 გვერდიან მემუარებში საქართველოს მეორე პრეზიდენტი, საქართველოს ცკ-ის პირველი მდივანი 13 წლის განმავლობაში პრაქტიკულად არ იგონებს და არ ეხება სამხრეთ ოსეთის კონფლიქტს.

პოლიტიკურ ცენტრთან, თბილისთან, ტერიტორიული სიახლოვის მიუხედავად, სამხრეთ ოსეთში მიმდინარე პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ თუ კულტურულ პროცესებს, აფხაზეთში მიმდინარე მოვლენებთან შედარებით პოლიტიკურ სივრცეში

---

[1] **ედუარ შევარდნაძე** - დაიბადა ლანჩხუთის რაიონი, სოფელი მამათში. დაამთავრა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი 1959 წელს. 1957-1961წწ. იყო საქართველოს სსრ-ის კომკავშირის პირველი მდივანი, 1961-1964წწ. - კომპარტიის მცხეთის რაიონული კომიტეტის პირველი მდივანი, ხოლო შემდეგ თბილისის პირველი მაისის რაიონის რაიკომის მდივანი. 1964-1965წწ. იყო საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მინისტრის მოადგილე. 1965-1972წწ. საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრია. 1972 წლიდან კი საქართველოს კომპარტიის ცკ-ის პირველი მდივანი. 1985 წელს იგი სსრკ-ის საგარეო საქმეთა მინისტრად დაინიშნა. 1990 წელს იგი გადადგა. 1991 წელს, მ. გორბაჩოვის მიწვევით კვლავ დაუბრუნდა მინისტრის პოსტს. 1992 - საქართველოს სახელმწიფო საბჭოს ხელმძღვანელი, 1992-1995წწ. საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარე, 1995-2003წწ. საქართველოს პრეზიდენტი. http://www.nplg.gov.ge/bios/ka/00001162/

[2] **ივან ვასილის ძე კაპიტონოვი** - საბჭოთა პარტიული ბიუროკრატი. დაიბადა 1915 წელს, პარტიის წევრი 1939 წლიდან, კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი 1952—1986 წწ. ხოლო 1986—1988 წწ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე. 1988 გავიდა პენსიაზე. http://hrono.ru/biograf/bio_k/kapitonov_iv.html

[3] **ედუარდ შევარდნაძე.** ფიქრები წარსულსა და მომავალზე. თბილისი 2018. გვ. 91-93

ნაკლები ყურადღება ეთმობოდა. ედუარდ შევარდნაძის მოგონებები კი ამ ფაქტის კარგი დემონსტრაციის მაგალითია.

ერთერთი პირველი ვინც ოსებისა და ქართველების თანაცხოვრებაზე ფიქრი პოლიტიკურ პროგრამაში განიხილა იოსებ სტალინი იყო. ესეში „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი“ ჯუღაშვილი დაინტერესდა ოსების საკითხით. მისი მოსაზრებით ოსები „ასიმილირდებიან ქართველებთან“, ის ფიქრობდა, რომ ოსები დაგვიანებული ერი იყო, რომელიც იდენტობის ხელოვნური დაცვის გარეშე მალე ასიმილირდებოდა უფრო მაღალ კულტურასთან, ქართულთან ან რუსულთან.[4]

ახალგაზრდა ჯუღაშვილი, რომელმაც ბავშვობა გორში გაატარა ხშირად ხვდებოდა ეთნიკურ ოსებს. ამ ქალაქში ხომ სხვა ეთნიკურ ჯგუფებთან ერთად ოსებიც ცხოვრობდნენ, ამიტომ მისი მოსაზრებები ხშირად საკუთარი დაკვიკვებითაა განპირობებული. ზოგადად კი აღმოსავლეთ საქართველოს, XIX საუკუნიდან კი ტფილისის გურბერნიის მოსახლეობისათვის, ეთნიკური ოსები უცხო და ეგზოტიკური ხალხი არ ყოფილა. მათ არა მარტო პოლიტიკური ელიტა, არამედ ჩვეულებრივი მოქალაქეებიც იცნობდნენ. ქართულენოვანი შუასაუკუნეების წერილობითი წყაროები მრავალს და არაერთმნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს ოსების შესახებ.

საქართველოს მოსახლეობის ცნობიერებაში ოსები, ქართული ლიტერატურის სკოლის პროგრამაში ორი კლასიკოსის, მიხეილ ჯავახიშვილის და ალექსანდრე ყაზბეგის თხზულებებით იმკვიდრებენ ადგილს. ხევში რამდენიმე სოფელი კომპაქტურად ოსებით იყო დასახლებული, ამიტომ ყაზბეგისთვის ისინი უცხონი არ არიან. მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნებში“ კი ეთნიკური ოსები, შიდა ქართლში მემამულეებში არსებული ცივილიზაციის ბარბაროსული დამყრობლემები არიან წარმოდგენილნი, დაახლოებით ისეთი როგორიც ატილა იყო ძველი რომისთვის.

ოსთა საკითხი 1918-1945 წლებში

1926 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერით ოსები საქართველოს მოსახლეობის 4,2 % შეადგენდნენ. გორის რაიონის მოსახლეობის 13,3%, დუშეთის - 13,2%, თელავის - 4.9 % და სიღნაღის მოსახლეობის 3.2 % ოსები შეადგენდნენ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში კი მათი რაოდენობა 69,1 % შეაგდენდა.[5]

---

[4] И.В. Сталин. Максизм и Национальный вопрос. გვ. 349-351
https://www.marxists.org/russkij/stalin/t2/footnotes.htm#n130

[5] Население Закавказья. Всесоюзный перепись населения 1926 г. Тифлис 1928. გვ. XI

ისტორიკოს ლავრენტი ჯანიაშვილის მოსაზრებით, XIX საუკუნემდე, წერილობით წყაროებში ოსეთთან დაკავშირებით განსაზღვრება „სამხრეთი“ და „ჩრდილოეთი“ არ არსებობდა. საქართველოს რუსეთთან შეერთების მერე რუსი სამხრედროები უწოდებენ „ოსეთს“ Грузинская Осетия -ას და Карталинская Осетия (1812-1837) წლებში. XIX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს ტრიტორიაზე იქმნება „Осетинский Округ“-ი დაწესდა.[6] 1918 წელს, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, პოლიტიკური სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა. ეთნიკური ოსები სახელმწიფო საზღვრით გაემიჯნენ ერთმანეთს. სამხრეთ ოსეთის სახალხო საბჭო, რომელიც ძირითადად ბოლშევიკებისგან შესდგებოდა მენშევიკური მთავრობის მიერ დათხოვნილი იქნა. ბოლშევიკების აჯანყებები სამხრეთ ოსეთში საქართველოს ხელისუფლების მხრიდან რამდენჯერმე იქნა ჩახშობილი.

ეთნიკური ოსები იყვნენ საქართველოს დამფუძნებელ კრების წევრები, სოციალ დემოკრატიული პარტიიდან; გიორგი ალექსის ძე გაგლოევი[7] და ფარნიევი ალექსანდრე ივანეს ძე[8]. ორივე მათგან პოლიტიკური და რევოლუციური ბრძოლის

---

[6] **ლავრენტი ჯანიაშვილი.** ოსთა საკითხი ყაზბეგის რეგიონში. თბილისი 2017. გვ. 26

[7] **გაგლოევი გიორგი ალექსის ძე** - დაიბადა 1883 წლის 7 ნოემბერს (ძველი სტილით), ტფილისის გუბერნიის, გორის მაზრის სოფელ ჭვარებში, მღვდლის ოჯახში. ეროვნებით ოსი.
დაწყებითი განათლება მიიღო გორის სასულიერო სასწავლებელში.სწავლა განაგრძო ტფილისის სასულიერო სემინარიაში, რომელიც დატოვა მეორე კურსის დასრულების შემდეგ.
1903 წლიდან იყო რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წევრი. 1908-1912 წლებში ცხოვრობდა საზღვარგარეთ - გერმანიასა და შვეიცარიაში, მუშაობდა მანჰეიმის და დავოსის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებში.ელექტროტექნიკოსის სპეციალობით დაამთავრა გერმანიის მანჰეიმის უმაღლესი საინჟინრო სასწავლებლის კურსი. 1917 წლის ნოემბერში აირჩიეს საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრად. რუსეთის დამფუძნებელი კრების არჩევნების დროს იყო სოციალ-დემოკრატიული პარტიის კანდიდატი ყუბანისა და შავი ზღვის საარჩევნო ოლქში. 1918 წლის თებერვლიდან იყო ამიერკავკასიის სეიმის წევრი. 1918 წლის განმავლობაში იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტის წევრი. 1930 წელს გახდა საკავშირო კომუნისტური პარტიის წევრი. მომდევნო წლებში მუშაობდა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასოფლო-სამეურნეო დაწესებულებებში. 1937-38 წლების დიდი საბჭოთა ტერორის დროს გიორგი გაგლოევი დააპატიმრეს. საქართველოს სსრ შინსახკომთან არსებულმა განსაკუთრებულმა სამეულმა (ე. წ. „ტროიკა“) 1937 წლის 9 ნოემბერს გიორგი გაგლოევს დახვრეტა მიუსაჯა. წყარო: საქართველოს დამფუძნებელი კრება. გვ. 182

[8] **ფარნიევი ალექსანდრე ივანეს ძე** -ალექსანდრე (სანდრო) ივანეს ძე ფარნიევი დაიბადა 1883 წლის 14 სექტემბერს (ძველი სტილით) ტფილისის გუბერნიის დუშეთის მაზრის სოფელ ქვითკირისწყაროში, ღარიბი გლეხის ოჯახში; ეროვნებით ოსი (წარმოშობით ქართველი).მშობლები მუხრან-ბატონის ყმები იყვნენ; მცირე ასაკიდან სანდრო ღორების მწყემსად ჰყავდათ გამწესებული. 13 წლის ასაკში სოფელი დატოვა და ტფილისში გადმოსახლდა. შეგირდად მიაბარეს კერძო სახელოსნოებში;
1896 წლიდანვე ჩაება სოციალ-დემოკრატიული წრეების მუშაობაში; 1905 წლის 29 აგვისტოს (ძველი სტილით) დაიჭრა კაზაკების რაზმის მიერ ქალაქის საბჭოს შენობაში მუშათა და მოქალაქეთა დემონსტრაციის დარბევისას.1907 წლიდან დაიწყო მუშაობა ტფილისის ტრამვაიში ზეინკლად.
იყო ტრამვაის მუშათა პროფკავშირის და საამხანაგო კომისიის წევრი.1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ მუშაობდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტში. 1917 წლის ნოემბერში აირჩიეს საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრად. 1918

საკმაოდ ხანგრძლივი გამოცდილება ჰქონდა. ეთნიკური ოსები პოლიტიკურ ცხოვრებაში წარმოდგენილნი იყვნენ როგორც ბოლშევიკების ასევე სოციალ დემოკრატების (მენშევიკების) რიგებში.

1921 წელს საქართველოში წითელი არმიის შემოსვლას, სამხრეთ ოსეთში როგორც განმანთავისუფლებელ არმიას ისე შეხვდნენ.[9] 1926 წლისათვის სამრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში 87. 375 ადამიან ცხოვრობდა, აქედან 60 351 (69%) იყო ოსი, 23 538 (26.9 %) ქართველი, 1 739 (1,9%) ქართველი ებრაელი, 1 374 (1.5%) სომეხი და სხვა დანარჩენი ეროვნებების წარმომადგენელი იყო 373 (0.4 %) ადამიანი.[10] შალვა ხიდაშელი სამხრეთ ოსეთის პოლიტიკური ცენტრის ცხინვალის მსოახლეობას აღწერს, როგორც საკმაოდ ჭრელს - ქართველები, სომხები, ებრაელები, რამდენიმე ოსის ოჯახი. ისინი ქართველებისაგან არ განსხვავდებიან,, ყველა ქართულად ლაპარაკობს, ოღონდ საკუთარი სამლოცველო აქვთ.[11]

საბჭოთა მოდერნიზაცია შეეხო სამხრეთ ოსეთსაც. გაიხსნა ოსურ ენოვანი სკოლები, ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციის უმაღლეს მმართველ ორგანოში სამხარეო კომიტეტში სამხრეთ ოსეთს საკუთარი წარმომადგენელი ჰყავდა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ხელმძღვანელი უმეტეს შემთხვევაში ეთნიკური ოსი იყო.

1937-1938 წლების მასობრივი რეპრესიების დროს რეპრესირეულ იქნა 341 ეთნიკურად ოსი მოქალაქე.[12] მიუხედავად ამისა, ეთნიკური ოსებისთვის ეს ტერორი არ გამხდარა ნაციონლური მობილიზაციისა და კოლექტიური ტრამვის თარიღი, როგორც

წლის განმავლობაში იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტის წევრი.1919 წლის 12 მარტს აირჩიეს საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრად საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის სიით. იყო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი.1921 წელს საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპირების შემდეგ დარჩა საქართველოში და ჩაბმული იყო წინააღმდეგობის მოძრაობაში.სანდრო ფარნიევი საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის სხვა ლიდერებთან ერთად დააპატიმრეს 1921 წლის 13 ივნისს, მას შემდეგ, რაც ნაძალადევში, პლეხანოვის სახელობის მუშათა კლუბში იოსებ სტალინის მოხსენების საპასუხოდ დარბაზში მძაფრი დისკუსია და მუშათა საპროტესტო დემონსტრაცია გაიმართა. მოთავსებული იყო მეტეხის #2 „გამასწორებელ სახლში“; პატიმრობიდან გაათავისუფლეს 1921 წლის 30 ივნისს.მეორედ დააპატიმრეს 1922 წლის დასაწყისში; გაათავისუფლეს 1922 წლის 23 მარტს.შემდგომ წლებში ცხოვრობდა და მუშაობდა თბილისში; 1924-1927 წლებში - ტრამვაის სამმართველოს უფროსად.1929 წელს საქართველოს სსრ სახელმწიფო პოლიტიკურმა სამმართველომ დააპატიმრა მისი შვილი - ვასილ ფარნიევი, "ახალგაზრდა მაქრსისტთა" არალეგალური ორგანიზაციის წევრობის გამო და 3 წლით გადაასახლა საკონცენტრაციო ბანაკში.სანდრო ფარნიევის შემდგომი ბედი უცნობია. წყარო: საქართველოს დამფუძნებელი კრება. გვ. 387

[9] **А. Шнирельман**. Войны памяти: мифы, идентичность и политика в Закавказье. Москва 2003. გვ. 471

[10] Население Закавказья. Всесоюзный перепись населения 1926 г. Тифлис 1928. გვ. 16

[11] **შალვა ხიდაშელი.** უსათაურო მოგონებები. გვ. 44

[12] **იუნგე, ბონვიჩი, მიულერი.** ეთნოსი და ტერორი საქართველოში. თბილისი 2015. გვ. 352

აფხაზების შემთხვევაში მოხდა. უფრო მეტიც 1937 წელს ოსური ლათინურენოვანი დამწერლობა ქართული დამწერლობით შეცვალეს, ისე რომ ჩრდილო ოსეთში შენარჩუნდა კირილიცის დამწერლობა. არსებობდა ორი დამწერლობა და ერთი ენა.

1944 წელს ყაზბეგის რაიონიდან მრავალი ეთნიკური ოსის ოჯახი ვლადიკავკაზის მიდამოებში გადასახლდა სტალინური რეჟმისაგან დეპორტირებული ინგუშების ნასახლარებზე.[13]ოფიციალური ვერსიით ეს გამოწვეული იყო ყაზბეგის რაიონის ეკონომიკური ჩამორჩენილობითა და მძიმე სოციალური პრობლემებით.

სამხრეთ ოსეთის მეორე მსოფლიო ომის შემდეგ

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სამხრეთ ოსეთში გრძელდება ჰომოგენიზაციის პროცესი და 1949 წელს ოსეთის საოლქო კომიტეტის და აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით დაწყებით კლასებში სწავლება ოსური ენიდან გადაიყვანეს ქართულ ენაზე. 69 სკოლაში სრულებით შეწყდა ოსურ ენაზე სწავლება და 292 სკოლაში მნიშვნელოვნად შემცირდა ოსური ენის სწავლების საათები. სამხრეთ ოსეთში ორგანიზაციებსა და დაწესებულებეში საქისწარმოება წარმოებდა მხოლოდ ქართულ ენაზე მიმდინარეობდა.[14]

1953 წელს სტალინის გარდაცვალებისა და ბერიას დაპატიმრებიდან რამდენიმე კვირაში, 29 ივლისს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო კომიტეტის პირველ მდივანს ი. კ კოლიევს ბრალად უყენებენ ნაციონალური პოლიტიკის დარღვევას, ზედმეტ ნაციონალურ ინტეგრაციას საქართველოსთან და თანამდებობიდან ათავისუფლებენ. საქართველოს ცკ სამდივნოს 1953 წლის 7 სექტემბრის გადაწყვეტილებით სამხრეთ ოსეთში I-IV კლასებში სწავლება აღადგინეს მშობლიურ, ოსურ ენაზე, ხოლო V-XI კლასებში გააფართოეს სწავლება რუსულ ენაზე,[15] ხოლო იმავე წლის დეკემბერში ოსური დამწერლობა გადაიყვანეს რუსულ გრაფიკაზე[16]

სამხრეთ ოსეთში განათლების ხელმისაწვდომა პრობლემას წარმოადგენდა. 1952-1953 წლისათვის 697 სკოლის მოსწავლე სკოლის გარეშე იყო დარჩენილი, აქედან სტალინირის რაიონში 293, ჯავის რაიონში 77, ლინინგორის 203, ზნაურის 106 და თავად ქალაქი სტალინირიდან[17] 18.[18] 1953 წლის 1 ივნისის მონაცემებით სახმრეთ

[13] ლავრენტი ჯანიაშვილი. ოსთა საკითხი ყაზბეგის რაიონში. თბილისი 2017. გვ. 50
[14] შსს II განყოფილება. ფონდი 14, აღწერა 27, საქმე 108, გვ. 25
[15] შსს II განყოფილება. ფონდი 14, აღწერა 27, საქმე 124, გვ. 24
[16] შსს II განყოფილება, ფონდი 14, აღწერა 27, საქმე 162, გვ. 24
[17] სტალინირი ერქვა ქალაქ ცხინვალს
[18] შსს II განყოფილება. ფონდი 14, აღწერა 27, საქმე 358. გვ. 7

ოსეთში სულ 361 სკოლა იყო. აქედან 269 იყო ქართული სკოლა და 92 რუსული. ქართულ სკოლაში სწავლობდა 7902 ეთნიკურად ოსი მოსწავლე და რუსულ სკოლაში სწავლობდა 5142. ასევე მინიმალური ეთნიკური ქართველების რაოდენობა რომლებიც რუსულ სკოლაში სწავლობდნე, ჯამში 133 მოსწავლე მთელს ავტონომიურ ოლქში.[19]

განათლების პრობლემაზე დიდი გამოწვევა სამხრეთ ოსეთისათვის ეკონომიკა იყო. სამხრეთ ოსეთი XIX საუკუნეში ეკონომიკურად ძალიან ჩამორჩენილი მხარე იყო. სიტუაცია არც 1950 წელს იყო გაუმჯობესებული. მაგალითისთვის, გეგმით გათვალისწინებული მიწის სამუშაოების 19,8 % იქნა მოხნული 1950 წელს, 1951 წელს - 37, 2 % და 1952 წელს კი 62 %. [20]

ახალი კონსტიტუცია და დემონსტრაციები

1977 წელს საბჭოთა კავშირში დაიწყო ახალი კონსტიტუციის ცვლილების პროექტის მომზადება. ინიციატორთა აზრით 1937 წლის სტალინური კონსტიტუცია ვერ უმკლავდებოდა გამოწვევებს. ახალი კონსტიტუციის თანახმად თითოეული რესპუბლიკა უნარჩუნდებოდა საბჭოთა კავშირიდან გასვლის უფლება[21]

1978 წლის აპრილში მასობრივი დემონსტრაციები დაიწყო თბილისში. უმთავრესი მოთხოვნა ქართული ენის დაცვა იყო.

ქართული ენა ეკუთვნის ქართველ ხალხს, იგი არის მისი სისხლი და ხორცი, ის არის ერის დიდება, ამიტომაც მისი ბედი მთელმა ერმა უნდა გადაწყვიტოს და არა ინდივიდებმა. გაუმარჯოს ქართველ ხალხს - მსგავსი შინაარსისა და პათოსის განცხადებები როგორც დემონსტრაციებზე ასევე პარტიულ კრებებზე ისმოდა. კლერ კაიზერის მოსაზრებით ქართული ენის დაკავშირებამ „სისხლთან და ხორცთან“ ქართველ ხალხში გააღვიძა მეცხრამეტე საუკუნის ჰერდერიანული ტრადიციის ნაციონალიზმი.[22]

ახალი პროექტი ითვალისწინებდა 75-ე მუხლის ცვლილებას, რომელიც პროექტის მიხედვით შემდეგნაირად იყო ფორმულირებული: „საქართველოს სს რესპუბლიკა უზრუნველჰყოფს ქართული ენის ხმარებას სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებში, კულტურულ და სხვა დაწესებულებებში და ახორციელებს სახელმწიფო ზრუნვას მისი ყოველმხრივი განვითარებისათვის. საქართველოს სს რესპუბლიკის ყველა ამ ორგანოსა და დაწესებულებაში, თანასწორუფლებიანობის საფუძველზე, უზრუნველყოფილია

---

[19] შსს II განყოფილება. ფონდი 14, აღწერა 27, საქმე 358. გვ. 10

[20] შსს II განყოფილება. ფონდი 14 აღწერა 27 საქმე 108 გვ. 19

[21]საბჭოთა კავშირის 1977 წლის კონსტიტუცია. http://www.hist.msu.ru/ER/Etext/cnst1977.htm#iii

[22] Claire Pogue Kaiser. Lived Nationality: Policy and Practice in Soviet Georgia, 1945-1978. გვ. 312 https://repository.upenn.edu/cgi/viewcontent.cgi?article=3581&context=edissertations

თავისუფალი ხმარება რუსული, აგრეთვე სხვა ენებისა, რომლებითაც მოსახლეობა სარგებლობს. რაიმე პრივილეგიები ან შეზღუდვები ამა თუ იმ ენის ხმარებაში არ დაიშვება“ [23]

მასობრივი დემონსტრაციებიც ამ მუხლის წინააღმდეგ იყო მიმართული. პროტესტის უმთავრესი მოთხოვნაც ქართული ენის დაცვის კონსტიტუციური გარანტიები იყო. მოსახლეობა იცავდა იმ პრინციპებს რომელიც ე.წ სტალინურ კონსტიტუციაში იყო მოცემული. ქართველი ერისათვის ის სრულიად მისაღები იყო, განსაკუთრებით კი ამ ნაწილში.

პერესტროიკა და 1988 წლის მოვლენები

1978 წლის დემონსტრაციები დასაწყისი იყო ხანგრძლივი საპროტესტო მოძრაობების, რომელიც 1980-იანი წლების მიწურულის საქართველოს სსრ-ი ყოველდღიური ცხოვრების ნაწილი გახდა. დემონსტრაციებს უმეტესად ნაციონალური ხასიათი ჰქონდა. ერთერთი პირველი მასობრივი მოძრაობა იყო რკინიგზის ტრანსკავკასიური მაგისტრალი მშენებლობის წინააღმდეგ გამართული აქციები. სტუდენტები და ინტელიგენციის ნაწილი აქტიურად აპროტესტებდნენ ეკოლოგიურ პრობლემებს.

საქართველოში საპროტესტო მოძრაობებში ჩნდება მძლავრი ნაციონალისტური განწყობები. აქტიურდება საუბრები ქართველი ერის, როგორც სისხლითი ერთობის გადაშენების საფრთხეზე, დემოგრაფიაზე, ქართულ ენაზე, საქართველოს ისტორიასა და სარწმუნოებაზე. აღნიშნულ საკითხზე არა მარტო „არაფორმალები“ არამედ კომუნისტებიც აქტიურად მსჯელობენ. დღის წესრიგში არ არსებობს უმცირესობების, ეკონომიკური ინტეგრაციის, სოციალური პრობლემების მოგვარების შესახებ დისკუსიები. სიმბოლურმა ნაციონალიზმა ყოველდღიურ ცხოვრებას დაეუფლა. ქართული ნაციონალიზმის ახალ კონტექსტში, განსაკუთრებით კი რიტორიკის დონეზე, არ მოიძებნებოდა ეთნიკური უმცირესობების ადგილი. არ ჩანდა პოლიტიკური პროექტი რომელიც მათ მომალს უზრუნველყოფდა. ამის ფონზე ეთნიკური დაპირისპირებები შუა საუკუნეებში გავრცელებული ეპიდემიების მსგავს მოედო მთელს საქართველოს სსრ-ს.

საქართველოს სახალხო ფრონტი ეთნიკურ დაპირისპირებათა მთავარ მიზეზად კოლონიური ბატონობის გამტკიცებისთვის ბრძოლას მიიჩენვდა. *„საქართველოში შექმნა ერთ-ერთი რგოლი ანტიქართული ქმედებათა იმ ჯაჭვისა, რომელიც აფხაზეთის ასსრ-ში აფხაზების ანტიქართულ გამოსვლებში, ცხინვალის ოლქში ოსების ანტიქართულ გამოსვლებში და ფერღანაში ორგანიზებულ ჟლეტაში ვლინდება. მარნეულის, ბოლნისისა და დმანისის რაიონებში ორგანიზებული*

[23] აკაკი ბაქრაძე, ტომი IV, თბილისი 2005 გვ. 453-471.

გენოციდის მცდელობის ერთ-ერთი ფაქტორი, სავრაუდოა, არის სამხედრო უწყების ნებაც, რომელსაც განზრახული აქვს ქართველ ერში ახალი მსხვერპლის გამოწვევა „[24]

საქართველოს კომუნისტური პარტია, რომლის რიგებშიც ნაციონალიზმი ფეხგადგმულია, შედის მოსახლეობის წერილები. მათი პათოსი უმეტესად ქართველთა ნაციონალური სიმბოლიზმისა და ეთნიკური დომინაციის შენარჩუნებას გულისხმობს. უმთავრეს ინსტრუმენტად კი ენისა და ლიტერატურის შესწავლა მიაჩნიათ. ეთნიკურ უმცირესობების წარმომადგენლებისთვის „ნაციონალური ნათლობის' ცერემონია არის შესასრულებელი, სადაც ემბაზის ფუნქციას ქართული ენის, ლიტერატურის და ისტორიის ცოდნა შეასრულებდა. ერთ-ერთი წერილის ავტორი მხოლოდ კონკრეტული კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემდეგ მიიჩნევდა, რომ „სტუმრებს" უნდა ჰქონოდათ უფლება ესარგებლათ საქართველოს სიკეთეებით. *„სექტემბრიდან ყველა სკოლაში /ქართული და არაქართული/ სავალდებულოდ გავხდიდი ქართული ენისა და ლიტერატურის და საქართველოს ისტორიის შესწავლას. დე შეისწავლონ განურჩევლად ეროვნებისა, ქართული ენა, ყველამ, მაშინ მასზე ალალი იქნება, ქართული მეცნიერება, დირექტორობა თუ სხვა ყველა თანამდებობა და არა ისე, რომ ქართული მიწისა და ერისმადლით, ყველაფერი ჰქონდეს ხოლო, ენა და გული /ქართული/ მისთვის მიუღებელი იყოს.*[25] მოსახლეობა აპროტესტება საბჭოთა ჯარში მოსამსახურე ოფიცრების საცხოვრებლად საქართველოში დარჩენას და მოუწოდებდა მთავრობას, რომ ისინი „დაუბრუნდნენ საკუთარ მშობლიურ მხარეს"[26] პარალელურად გრძელდება მოთხოვნები, რომ ქართველებმა სავალდებულო სამხედრო სამსახური საქართველოს ტერიტორიაზე მოიხადონ.

ამ ნაციონალიზმის ფონზე იძაბება ქართულ ოსური ურთიერთობებიც. გარდამტეხ წლად ქართულ ოსურ კონფლიქტის ესკალაციაში უნდა მივიჩნიოთ 1988 წელი. ამ წელს საბჭოთა კავშირის კონსტიტუციაში ცვლილებების მორიგი ჯერი დადგა. 1978 წლის კონსტიტუცია აღარ იყო საკმარისი და ხელისუფლებამ კრიზისიდან გამოსავალი ახალი საკონსტიტუციო ცვლილებებით სცადა. თუმცა ამას ფართე საპროტესტო მოთხოვნები მოჰყვა თბილისში. 1988 წლის 22–29 ნოემბერს თბილისში მიდინარეობდა საპროტესტო აქცია და შიმშილობა, რომლის მთავარ მოთხოვნა იყო ცვლილება არ შეხებოდა სსრ კავშირის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) მე–3 ნაწილის მე–8 თავის 72–ე მუხლს: "თითოეული მოკავშირე რესპუბლიკისთვის ნარჩუნდება სსრ კავშირიდან თავისუფალი გასვლის უფლება." საქართველოს სსრ მე–11 მოწვევის უმაღლესი საბჭოს მე–10 სესიამ ერთხმად დადგინა, რომ

[24] შსს II განყოფილება. ფონდი 14 აღწერა 129 გვ. 25-28
[25] შსს II განყოფილება. ფონდი 14 აღწერა 129 გვ. 8
[26] შსს II განყოფილება. ფონდი 14 აღწერა 129 გვ. 14

მიზანშეწონილად არ მიაჩნდა სსრ კავშირის კონსტიტუციის ამ მუხლში ცვლილების შეტანა, რითაც საქართველოს საბჭოთა სოიალისტურ რესპუბლიკას, როგორც სსრ კავშირის ერთ–ერთ მოკავშირე რესპუბლიკას შეუნარჩუნდებოდა სსრ კავშირიდან თავისუფალი გასვლის უფლება. დემონსტრაციებში სხვადასხვა პოლიტიკური და საზოგადოებრივი გაერთიანებები მონაწილეობდა. ამავე პერიოში მოხდა სიმბოლური აქტი, 25 ნოემბრის ღამით - მიტინგის ერთ-ერთი ააქტივისტმა გაბრიელ ისაკაძემ მთავრობის სასახლეზე საბჭოთა საქართველოს დროშა ჩამოხსნა[27] სამხრეთ ოსეთში დაიწყო პირველი უკმაყოფილება. 1978 წლის თბილისში განვითარებული მოვლენების შემდეგ ჯერ აფხაზებმა, მოგვიანებით ოსებმა მოითხოვეს შესაბამისად აფხაზური და ოსური ენების საკანონმდებლო დაცვის გარანტიები. ეს რიტორიკა თბილისისათვის მიუღებელი იყო.

1988 წელს საქართველოს ცკ-ის გადაწყვეტილებით თანამდებობიდან გაანთავისუფლეს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ხელმძღვანელი ფელიქს სანაკოევი. ოფიციალურ მიზეზად დასახელდა „სერიოზული ხარვეზები სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის სოციო-ეკონომიკურ განვითარებაში და დამატებითი ღონისძიებები მის დასაჩქარებლად“[28] თუმცა ეს მხოლოდ დასაწყისი იყო.

გარდამტეხი მომენტი და ღია კონფლიქტი

1989 წლის 27 იანვარს „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე გამოქვეყნდა იურისტ თამაზ შავგულიძის სტატიას, რომელიც "ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე საქმის წარმოება, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, უნდა მიმდინარეობდეს სახელმწიფო ენაზე - ქართულ ენაზე. ამავე დროს, ოლქში ფართოდ უნდა იყოს გამოყენებული რუსული და ოსური ენები".

ამავე წელს „ლიტერატურული საქართველო“ საკუთარ თავზე იღებს ახალი ქართული სიმბოლური ნაციონალიზმის კვლავწარმოების ფუნქციას. ის აღარაა გაზეთი სადაც მხოლოდ ლიტერატურასა და ხელოვნებაზე მიმდინარეობს მსჯელობა. აღნიშნულმა გაზეთმა ჩამოაყალიბა ნაციონალური საზღვრები და თავად ცდილობდა განესაზღვრა რას ნიშნავდა ყოფილიყავი „ქართველი“. გაზეთის ფურცლებზე ხდება მკაცრი იდენტიფიცირება „ჩვენ“ ე.ი სისხლისმიერი ქართველები და „სხვები’ უცხოები, არაქართველები. 1989 წლის 9 აპრილის თბილისში განვითარებული ტრაგედიის მერე 5 მაისს იბეჭდება „ადამონ ნიხასის“ ხელმძღვანელის ალან ჩოჩიევის სტატია, რომელიც ემოციურად მხარს უჭერს ლიხნის დეკლარაციას და ასევე იწონებს აფხაზთა გამბედაობს, მოხდეს „ეროვნული სუვერენიტეტის აღდგენა“[29] აქვე უნდა აღინიშნოს

[27] http://www.resonancedaily.com/index.php?id_rub=2&id_artc=60503
[28] შსს II განყოფილება. ფონდი N14 აღწერა N129 საქმე N145. გვ. 63
[29] ლიტერატურული საქართველო. 1989 წელი. 5 მაისი.

რომ ეს წერილი 9 აპრილის ტრაგედიამდე გამოქვეყნდა გუდაუთის რაიონულ გაზეთში და მხოლოდ შემდეგ გადმოიბეჭდა ლიტერატურულ საქართველოში. რატომ გახდა მისი დაბეჭდვა აუცილებელი 5 მაისს ბევრ ეჭვს და მოსაზრებას ბადებს.

სამხრეთ ოსეთის დეპუტატთა საბჭომ ოფიციალურად დაგმო ჩოჩიევის წერილი, გამოაგზავნა ისეთი წერილი რომელიც თბილისს ეამებოდა, მაგრამ ფაქტი რომ ამ პერიოდში სამხრეთ ოსეთში ჩამოყალიბდა ნაციონალიზმის თავისებური ვერსია, რომელიც მხოლოდ ეთნიკური ოსების შესახებ საუბრობდა და სხვა ეთნიკური ჯგუფების იგნორირებას ახდენდა სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე.

1989 წლის 15 აგვისტოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან შეიქმნა მუდმივი სახელმწიფო კომისია, რომელმაც კონტროლი უნდა გაუწიოს ქართული სალიტერატურო ენის ფუნქციონირებასა და სიწმინდის დაცვას.[30] ეს აღარაა ენის მხოლოდ კონსტიტუციური უფლება. ეს იყო ქართული ენის საკრალიზება. სახელმწიფო ენის პროგრამაში არაფერი იყო ნათქვამი ავტონომიურ პოლიტიკურ ერთეულებზე და შესაბამის ეროვნებათა ენის სტატუსზე. ეს გახდა მიზეზი რომ ადამონ ნიხასს პირველი ფართომასშტაბიანი პროტესტი ჩაეტარებინა ცხინვალში. ხოლო ერთი თვის შემდეგ 4 სექტემბრს საბჭოთა ოსეთში გამოქვეყნდა სტატია ოსური ენის სახელმწიფო სტატუსის შესახებ და ეს ასახულია საქართველოს სსრ კონსტიტუციაში.[31]

ამავე პერიოდში სამხრეთ ოსეთში ორხელისუფლებიანობაა. სამხრეთ ოსეთის ოლქის ხელმძღვანელი ფელიქს სანაკოების შემდეგ გახდა ჩეხოვი, თუმცა ადამონ ნიხასი და მისი ლიდერებიც საზოაგდოებაში გავლენით და პოპულარულობით სარგებლობდნენ. მას შემდეგ რაც ოსური სახელმწიფო ენის შესახებ პროგრამა მიიღეს საქართველოს ცკ პირველი მდივანი გივი გუმბარიძე ჩადის ცხინვალში. გუმბარიძე ვიზიტით კმაყოფილი ჩანდა, მაგრამ პროცესები უფრო რთული და კომპლექსური იყო. საქართველოს პოლიტიკურ ელიტას უჭირდა ადეკვატური პოლიტიკის შეთავაზება სამხრეთ ოსეთისთვის. ეს სუბიექტური და ობიექტური მიზეზებით იყო განპირობებული. გივი გუმბარიძესთვის როგორც საბჭოთა ფუნქციონერთა კლასის წარმომადგენლისთვის უცხო იყო ის რაც მაშინ პოლიტიკაში ხდებოდა. მას ასევე უწევდა „ეროვნული მოძრაობის“ წარმომადგენელთა ინტერესების გათვალისწინება. ის ერთპიროვნულად გადაწყვეტილებებს ვერ ღებულობდა. 1989 წლის 10 ნოემბერს ახალი მოთხოვნა გაჩნდა, რომელიც სამხრეთ ოსეთის პოლიტიკური სტატუსის ამაღლებას გულისხმობდა ავტონომიური რესპუბლიკის რანგში[32]

---

[30] https://rrc.ge/cgi-sys/suspendedpage.cgi?lawid=1183&lng_3=ge

[31] Советская Осетия, N 188, 28 сентября 1989 г

[32] РЕГИОНАЛЬНЫЕ КОНФЛИКТЫ В ГРУЗИИ -ЮГО-ОСЕТИНСКАЯ АВТОНОМНАЯ ОБЛАСТЬ, АБХАЗСКАЯ АССР (1989-2011). СБОРНИК ПОЛИТИКО-ПРАВОВЫХ АКТОВ. дополненное издание. Составитель и главный редактор Тамаз диасамидзе ТБИЛИСИ 2002-2011

კონფლიქტმა დატოვა პარტიული ნომენკლატურისა და ნაციონალისტური ჯგუფების ვიწრო სოციუმი. ის „ზემოდან ქვევით“ პრინციპით გავრცელდა საზოგადოებაშიც. საქართველოს ცენტრალურ კომიტეტის არქივში შემოდიოდა წერილები სამხრეთ ოსეთში მცხოვრები ეთნიკური ქართველებისგან. ისინი საუბარობდნე მათი ნაციონალური გრძნობების შელახვაზე. მაგალითად, ქსნის ხეობაში ქართული ენის დევნაზე, იმაზე რომ „არც ერთ დაწესებულებას, კინოთეატრს, მაღაზიას არა აქვს ქართული სახელი. ყველა არის ოსურად მონათლული.“ იგივე წერილში საუბარი იყო სუვერენიტეტის სიმბოლო, პირველი რესპუბლიკის დროსების დახევაზე ეთნიკური ოსების მიერ. აგრეთვე შეშფოთებულები აღნიშნავდნენ, რომ კონფლიქტის დროს შეურაცყოფა მიაყენეს ილია ჭავჭავაძის სურათისა და ღვთისმშობლის ეკლესიას.“[33] ეთნიკურად ქართველი მოსახლეობა მოითხოვდა ადამონ ნიხასის ლიდერების დასჯას. ეთნიკური დაპირისპირება აისახა ეკონიმკაზეც. მრეწველობა პრაქტიკულად არ მუშაოდა და მოხდა შრომითი კოლექტივების ეთნიკური ნიშნით დაყოფა.[34] ეთნიკური ქართველი მოსახლეობის რეაქცია სამხრეთ ოსეთში მიმდინარე მოვლენებზე ძალიან რადიკალური იყო. საქენერგოს რუსთავის საზოგადოების წევრები აღშფოთებულნი იყვნენ ადამონ ნიხასის მოითხოვნებით და მიიჩნევდნენ რომ ლიხნის დეკლარაციის მსგავსად, ეს მიმართვაც „ყოველგვარ ისტორიულ, სამართლებრივ და ზნეობრივ საფუძვლებს მოკლებულია და მიმართულია ქართველი ხალხისადმი, საქართველოველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ მცირე ერებში, მტრული გრძნობების გასაღვივებლად, რომლის საბოლოო მიზანია ქართველთა გენოციდი.“[35]

წერილები იწერებოდა არა მხოლოდ ცენტრალური კომიტეტის მდივნის, შინგან საქმეთა მინისტრის, ან რომელიმე სამინისტროს სახელეზე, არამედ ლიტერატურული საქართველოს რედაქტორის სახელზეც. ცენტრი ვერ პასუხობს მის რეგიონებში მიმდინარე პროცესებს. ადგილობრივი ხელისუფლება შეჩვეულია ცენტრიდან მოსული დირექტივებით მოქმედებას. ეს ტრადიცია 70 წელი მუშაობდა საბჭოთა საქართველოში. ის რაც არ იყო შიდა რეგიონული საქმე ადგილობრივი ელიტა არ წყვეტდა. თბილისში კი პოლიტიკური ელიტა უსუსრი იყო, რამე ეკარნახე რეგიონისადმი. მოსახლეობაში ხდება პოლარიზება. მათი წერილებით იგრძნობა, რომ ადგილობრივი ეთნიკურად ქართველი მოსახლეობისათვის სამხრეთ ოსეთი როგორც პოლიტიკური წარმონაქმნი, არის მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ რომ რუსეთმა ის ხელოვნურად შეიქმნა საქართველოს დაიპყრობის შემდეგ.[36] ხშირი იყო წერილები სამხრეთ ოსეთის იმ ადმინისტრაციული ერთეულებიდან, სადაც მოსახლეობა უჩიოდა, რომ თანამდებობებზე მხოლოდ ეთნიკური ოსები ინიშნებოდნენ და

[33] შსს II განყოფილება. ფონდი N14, აღწერა N131, საქმე N19 გვ:11
[34] შსს II განყოფილება. ფონდი N14, აღწერა N131, საქმე N19 გვ: 37
[35] შსს II განყოფილება. ფონდი N14, აღწერა N131, საქმე N19 გვ: 38
[36] შსს II განყოფილება. ფონდი N14, აღწერა N131, საქმე N19 გვ. 47

ქართველთა უფლებები უგუვებელყოფილი იყო.[37] ნაციონალური პოლიტიკით უკმაყოფილო იყო სამხრეთ ოსეთში მცხოვრები ქართველი მოსახლეობასაც.

ეთნიკური დაპირისპირება არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ სამხრეთ ოსეთის და მომიჯნავე მხარეებით. კონფლიქტი ასევე დიდ გავლენას ახდენდა საქართველოს ეკონომიკურ ცხოვრებაზე. საქართველო სსსრ ავტომატმრეწვის კოლექტივი ხელისუფლებას ულტიმატუმს უყენებდა. მათი მოთხოვნებით სსრ შინაგან ჯარების ნაწილები სამხრეთ ოსეთის ოლქის ტერიტორიიდან უნდა გამოეყვანათ, ხოლო მათი ჩანაცვლება უნდა მომხდარიყო ქართული მილიციით. აგრეთვე უნდა მომხდარიყო როკის გვირაბის დაკეტვა. წინააღმდეგ შემთხვევაში იმუქრებოდნენ საწარმოო გაფიცვებით.[38] იგივე მოთხოვნა ჰქონდათ რუსთავის რკინა ბეტონის ნაკეთობათა ქარხნის თანამშრომლებს[39]

1989 წლის 23 ნოემბერს დაახლოებით 15 ათასამდე ეთნიკური ქართველი, ეროვნული მოძრაობის ლიდერებთან ერთად დემონსტრაციული მარშით დაიძრა ცხინვალისკენ, მშვიდობიანი მიტინგის ჩასატარებლად. ისინი ცხინვალსი არ შეუშვეს. მათ მიტინგი ქალაქის მიმდებარე ტერიტორიაზე გამართეს. ეს მიტინგი ოსური მხარისაგან აღქმული იქნა, როგორც ქართული საზოგადოების მიერ ძალის დემონსტრირების მცდელობა. პოლიტიკური დისკუსია ჩაანაცვლა მასობრიცი დემონსტრაციებით საუბრის რიტორიკამ.

1989 წლის 25 ნოემბრის წერილში, რომელიც სოფელ ერედვიდან ეგზავნება საქართველოს სსრ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს უკვე პირველად აღინიშნება შეირაღებული დაპირისპირების ნიშნები.მოსახლეობამ დაიწყო პიკეტირება[40] ამას დაძაბულობა, კონფლიქტები და ძალადობა მოყვა რეგიონში. ეს ყველაფერი სპონტანური ქმედებების შთაბეჭდილებას ტოვებს და არა გამიზნულ საომარ მოქმედებას. [41]

ცეცხლი აინთო, კონფლიქტი დაიწყო

1990 წელს საქართველოში აქტიურდება საბჭოთა კავშირიდან გამოსვლის პროცედუალური და სამართლებირივი ღონისძიებები.[42] 1990 წლის აგვისტოში სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს მე-20

---

[37] შსს II განყოფილება. ფონდი N14, აღწერა N131, საქმე N19 გვ. 48
[38] შსს II განყოფილება. ფონდი N14, აღწერა N131, საქმე N19 გვ. 51
[39] შსს II განყოფილება. ფონდი N14, აღწერა N131, საქმე N19 გვ. 52
[40] შსს II განყოფილება. ფონდი N14, აღწერა N131, საქმე N19 გვ.65
[41] შსს II განყოფილება. ფონდი N14, აღწერა N131, საქმე N19 გვ: 125–127
[42] http://www.parliament.ge/files/387_516_454603_5.pdf

მოწვევის მე-13 სესიამ მიიღო "სამხრეთ ოსეთის სუვერენიტეტის შესახებ[43]. დეკლარაცია გამოქვეყნდა პრესაში და ის გულისხმობდა სამხრეთ ოსეთის საქართველოს შემადგენლობიდან გასვლას. ამის მერე იწყება კანონების ომი, რომელიც არა პოლიტიკურ დისკუსიას და პოლიტიკურ გადაწყვეტილებას ემსახურებოდა, არამედ ცდილობდა საკუთარი ლეგალური უპირატესობის დემონსტრირებას. ქართული და ოსური მხარეც ამაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა.

„საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ 1990 წლის 21 სექტემბერს გაუქმებული იქნა. 1990 წლის 16 ოქტომბერს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის უმაღლესი საბჭოს მე15 სესიამ დაადასტურა თავისი წინა გადაწყვეტილება ("სამხრეთ ოსეთის სუვერენიტეტის შესახებ" 1990 წ.) და, გარდა ამისა, აირჩია სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიული რესპუბლიკის აღმასრულებელი კომიტეტი, მიიღო დროებითი დებულება სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიული რესპუბლიკის უზენაეს საბჭოსა და სამხრეთ ოსეთის ადგილობრივი საბჭოების არჩევნების შესახებ. არჩევნები დაინიშნა 1990 წლის 2 დეკემბრისათვის. სესიამ დაამტკიცა 1990 წლის 20 სექტემბრის სესიაზე მიღებული გადაწყვეტილება "სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭოთა სოციალისტურ დემოკრატიულ რესპუბლიკად გარდაქმნის შესახებ"სესიამ უკანონოდ მიიჩნია სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე 1990 წლის 28 ოქტომბერს დანიშნული, პირველად, საქართველოს ისტორიაში მრავალპარტიული ხასიათის მატარებელი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ჩატარება.“[44]

სამართლებრივი აქტებით პინგპონგის თამაში არ დასრულებულა 1990 წლის 28 ოქტომბერს. ამ დღეს საქართველოში ჩატარდა უზენაესი საბჭოს არჩევნები, რომელსაც სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ეთნიკური ოსი მოქალაქეების უმრავლესობამ ბოიკოტი გამოუცხადა. 1990 წლის 22 ნოემბერს საქართველოს რესპუბლიკის ახლადარჩეულმა უზენაესმა საბჭომ გააგრძელა ძველი კანონთა ბრძოლის ტრადიცია და გააუქმა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს 1990 წლის 20 სექტემბრის გადაწყვეტილება ავტონომიური ოლქის ე.წ. "სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიულ რესპუბლიად" გარდაქმნის შესახებ. არჩევნების ბოიკოტირებით ეთნიკური ოსების მოსახლეობის ნაწილმა დემონსტრირება მოახდინა იმისა რომ არსებულ პოლიტიკურ სივრცესი, სახელმწიფოში ისინი თავს ვერ ხედავდნენ. უფსკრული კიდევ უფრო გაღრმავდა მხარეებს შორის. 1990 წლის 28 ნოემბერს "სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიული რესპუბლიკის" სახალხო დეპუტატთა საბჭოს მე-16(2) სესიის გადაწყვეტილებით სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიულ რესპუბლიკას გადაერქვა სახელი და ეწოდა სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკა. იმავე სესიაზე სსრკ უზენაეს საბჭოს ეთხოვა ეცნო "სამხრეთ ოსეთის" საბჭოთა რესპუბლიკა საბჭოთა ფედერაციის სუბიექტად. იმავე სესიის

[43] გაზეთი "советская Осетия" 13 აგვისტო 1990 წელი. http://isnc.ge/index.php/site/document_detail/1/37
[44] ინფორმაციული ცნობა "ქართულ-ოსური კონფლიქტის" შესახებ. გვ. 3-4 http://www.parliament.ge/uploads/other/18/18511.pdf

გადაწყვეტილებით 1990 წლის 9 დეკემბრისათვის დაინიშნა სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნები. ცხინვალის ოფიციალური მონაცემებით ჩატარებულ არჩევნებში მონაწილეობა მიიღო მოსახლეობის 71%-მა. 1990 წლის 11 დეკემბერს საქართველოს უზენაესი საბჭოს მიერ გაუქმებულ იქნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი. მასთან ერთად გაუქმებულ იქნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭო, მისი აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანო - კომიტეტი და ოლქის სხვა სახელმწიფო ორგანოები. გარდა ამისა, ცნობილ იქნა ბათილად და იურიდიული ძალის არმქონედ ე.წ. "სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკის" უმაღლესი საბჭოს 1990 წლის 9 დეკემბრის არჩევნები და მისი შედეგები.[45]

1991 წლიდან სამხრეთ ოსეთის კონფლიქტში ოფიციალურად ჩნდება რუსული ფაქტორი. 14 თებერვალს რსფსრ დეპუტატები ჩამოდიან საქართველოში და სწავლობენ კონფლიქტს.[46] პროცესში რუსეთი ცდილობს მედიატორის როლის თამაშს და ის ეტაპობრივად მიიწევს ამ მიზნისათვის. [47] საქართველოში სამოქალაქო ომისას, მას შემდეგ რაც ბრუნდება ედუარდ შევარდნაძე რუსეთის ჩართულობა კონფლიქტში კიდევ უფრო აშკარა ხდება. ქართველი პოლიტიკოსები, შეჩვეულნი იყვნენ ეთნიკურ უმცირესობებთან პრობლემების მოგვარების ცენტრის მოსკოვის გავლით. ეს განსაკუთრებით ცალსახა ხდება 1991-1992 წლებში. 1992 წლის 24 ივნისს **სოჭში** ბორის ელცინსა და ე. შევარდნაძეს შორის ხელი მოეწერა შეთანხმებას საქართველო-ოსეთის კონფლიქტის მოწესრიგების პრინციპების შესახებ. [48]

ამ აქტის შემდეგ კონფლიქტი თვისებრივად ახალ ეტაპზე გადის. კვლევის დროს განსაზღვრულმა ჩარჩომ აჩვენა რომ სამხრეთ ოსეთი კონფლიქტის საწყისი ეტაპი შედეგია დომინანტური ნაციონალიზმის, რომელიც „სხვათა“ ადგილს არ ტოვებდა პოლიტიკურ სივრცეში. აღნიშნული პოლიტიკური განწყობები კი საბჭოთა ნაციონალიზმისათვის ნორმალური იყო და ის ვერ ჩაითვლება პროცესებიდან ამოვარდნილად. პოლიტიკური ელიტები არ იყვნენ შეჩვეულნი ერთმანეთან კომუნიკაციასა და პოლიტიკურ დიალოგს. კონფლიქტები ეროვნულ ნიადაგზე თბილისსა და მის ავტონომიურ რესპუბლიკებს შორის პრაქტიკულად ყოველთვის მოსკოვის ჩარევით „გვარდებოდა.“ სიმბოლურმა ნაციონალიზმა დაიკავა სამოქალაქო ნაციონალიზმის ადგილი და სრულიად განდევნა ის პოლიტიკური სცენიდან.

---

[45] ინფორმაციული ცნობა "ქართულ-ოსური კონფლიქტის" შესახებ. გვ. 4-6
http://www.parliament.ge/uploads/other/18/18511.pdf

[46] Постановление Совета Национальностей Верховного Совета РСФСР от 14.02.1991 № 634/1-I
http://sbornik-zakonov.ru/272479.html

[47] ВЕРХОВНЫЙ СОВЕТ РСФСР. ОБРАЩЕНИЕ от 22 февраля 1991 года. К ПАРЛАМЕНТУ И ПРАВИТЕЛЬСТВУ ГРУЗИИ, НАРОДНЫМ ДЕПУТАТАМ ЮЖНОЙ ОСЕТИИ
http://www.libussr.ru/doc_ussr/usr_18263.htm

[48] Соглашение о принципах урегулирования грузинско-осетинского конфликта
http://docs.cntd.ru/document/1902246

სამხრეთ ოსეთის და საქართველოს პოლიტიკური ელიტები მხოლოდ ერთი ნაციის ინტერესებზე საუბრობდნენ და სხვები სრულიად იგნორირებულნი იყვნენ. პოლიტიკური ელიტები პრობლემის მოგვარებას არა პოლიტიკური პროგრამების შეთავაზებით არამედ წარსულის ინსტრუმენტალიზაციით ცდილობდნენ. ელიტები არ აღმოჩნდნენ მზად პოლიტიკური პრობლემბის გადასაჭრელად.